



**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ფორმა**
(სსიპ თბილისის N147 საჯარო სკოლა)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: მაკა ნადარეიშვილი

წევრები:

ხათუნა მაჭარაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი;

რუსუდან უსტიაშვილი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი;

იოსები ლაზარაშვილი - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი;

ქეთევან კიპაროიძე - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი;

მარინე რეხვიაშვილი - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი;

ნანა ყანჩაშვილი - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი;

მაკა ინაშვილი - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი;

მანანა შეროზია - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი;

მიხეილ გაფრინდაშვილი - სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი;

მაკა ნატროშვილი - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი.

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ ქალაქ თბილისის #147 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	202055756

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	თბილისი
ფაქტობრივი მისამართი	დიდმის მასივი, III კვარტალი
საფოსტო ინდექსი	0159
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	სკოლების პორტალი - სკოლის დეტალები (emis.ge)
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	tbilisi147@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	(032) 2 52 01 23

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	MES 6 24 0000921841; 30.07.2024
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	12 და 13 სექტემბერი, 2024 წელი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქ. თბილისი, დიღმის მასივი, III კვარტალი
	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქ. თბილისი, დიღმის მასივი, III კვარტალი
	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქ. თბილისი, დიღმის მასივი, III კვარტალი

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

2024 წლის 12 და 13 სექტემბერს სსიპ - ქალაქ თბილისის 147 საჯარო სკოლაში განხორციელდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი. ვიზიტის ფარგლებში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებით“ განსაზღვრული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის შესრულების შემოწმება განხორციელდა.

ექსპერტების ჯგუფმა, ვიზიტის წარმართვისთვის, შეიმუშავა დღის წესრიგი და შესამოწმებელ დოკუმენტთა სავარაუდო ნუსხა, რომელიც დაწესებულებას გადაეცა ვიზიტამდე. ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობა განისაზღვრა- ორი ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტით, რომელთაგან ერთი თავმჯდომარეობდა ჯგუფს და საგნობრივი ჯგუფის ექსპერტებით.

სკოლაში შესვლისთანავე იგრძნობოდა კეთილგანწყობა, სკოლა დატვირთული რეჟიმით მუშაობს, სასკოლო ინფრასტრუქტურა მოწესრიგებულია და სამუშაოდ ყველა პირობაა შექმნილი. ვიზიტის დროს დაწესებულებაში ცხადად ჩანდა თანამშრომლობითი კულტურა, რომელიც სკოლის ძლიერი მხარეა. სკოლა დიდ ყურადღებას უთმობს არაფორმალურ განათლებას, წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და ადგილზე ვიზიტისას მასწავლებლებთან გასაუბრებითა და საგამოფენო სივრცეების დათვალიერებით ჩანს, მათი მონაწილეობა სხვადასხვა კონფერენციებსა და პროექტში.

ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების წარმომადგენლებს - სკოლის დირექტორს, სასწავლო პროცესის ორგანიზებაზე პასუხისმგებელ პირებს, საქმისმწარმოებელს, სპეციალურ მასწავლებლებს და სხვა პირებს. ინტერვიუ შედგა სკოლის მასწავლებლებთან, ინტერვიუს პროცესში ჩართული იყო დაწყებითი საფეხურის ექსპერტი, მან ასევე განახორციელა I,II,III,IV კლასების ქართული ენა და ლიტერატურის, მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების კურიკულუმების რევიზია, ხოლო შეფასების ეტაპზე ითანამშრომლა საგნობრივ ექსპერტებთან, მისი მოსაზრებები და რჩევები გათვალისწინებულია საგნობრივი ექსპერტების მიერ დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების შეფასებისას.

ვიზიტი განხორციელდა პირისპირ ფორმატში, ხოლო საგნობრივ ექსპერტებს დისტანციურ რეჟიმში ჰქონდათ შესაძლებლობა ჩაეტარებინათ ინტერვიუები (Microsoft Teams-ის ელექტრონული პლატფორმის საშუალებით).

ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ გამოავლინა სრული მზაობა ავტორიზაციის პროცესთან დაკავშირებით. ავტორიზაციის გუნდს სკოლასთან შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად, სკოლის მხრიდან მაქსიმალური მხარდაჭერა ჰქონდა, რომ სამუშაო პროცესი წარმართულიყო საქმეზე ორიენტირებულ გარემოში.

სკოლა შემოწმდა ავტორიზაციის სტანდარტის ოთხივე მიმართულებით. ავტორიზაციის სტანდარტთან შესაბამისობას, უნდა აღინიშნოს, რომ სკოლას თვითშეფასების კითხვარში გამოკვეთილი ჰქონდა სტანდარტთან მეტწილად შეუსაბამო საკითხები.

კერძოდ, **1.2.1.2. ინდიკატორი** - სკოლა აღნიშნავს, რომ სტრატეგიული გეგმა საჭიროებს რევიზიას. ავტორიზაციის ექსპერტთა

ვიზიტის დროს, სკოლას ჰქონდა რევიზირებული შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა, რომელშიც მცირედი ცვლილება - საკვები ობიექტისთვის ფართის გამოყოფა იყო შეტანილი. ასევე გამოკვეთილი იყო **3.4.1.1. ინდიკატორი** - სკოლა აღნიშნავს, რომ სკოლას არ აქვს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა. თუმცა თვითშეფასების კითხვარში, სკოლას აღნიშნული მიმართულებით გადადგმული დაწყებული ჰქონდა ქმედება და მიმართვა ჰქონდა გაგზავნილი შესაბამის უწყებებთან. ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში, სკოლამ წარმოადგინა აღნიშნული დასკვნა - შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების შესახებ. **2.1.1.1. ინდიკატორი** - სკოლა აღნიშნავს, რომ მას არ აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია. რომელიც იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში სკოლამ წარმოადგინა აღნიშნული დოკუმენტი და ასევე სასკოლო კურიკულუმის შემუშავებაში მონაწილეობის კითხვარები (ანონიმურად გამოკითხული სასკოლო საზოგადოება).

ექსპერტების მიერ, წარმოების ფარგლებში შესწავლილი დოკუმენტების ანალიზისა და ინტერვიუების შედეგად ჩამოყალიბებული მიგნებები გაცნობილი იქნა დაწესებულების წარმომადგენლებისთვის ვიზიტის დასასრულს.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

სსიპ თბილისის 147-ე საჯარო სკოლა, რომელიც დიდმის მასივში მდებარეობს, ავტორიზაციის ვიზიტის პერიოდში 2018 მოსწავლეს მოიცავს, რაც მისი წარმატებისა და კონკურენტუნარიანობის უდავო დასტურია. სკოლას გააჩნია მრავალმხრივი გამოცდილება არაფორმალური განათლებისა და მოსწავლეთა მხარდაჭერის კუთხით. განსაკუთრებით აღსანიშნავია ინკლუზიური განათლების დანერგვა და განხორციელება, რომლის ფარგლებში ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმები ხორციელდება მოსწავლეთა, მშობელთა და პედაგოგთა ერთობლივი ძალისხმევით. მასწავლებლები აქტიურად მუშაობენ ამ მიმართულებით და 2024 წელს დასახეს ახალი მიზნები, რომელთა შორის გამოირჩევა მოსწავლეთა ტრანზიციის გეგმა სკოლის დასრულების შემდეგ პროფესიულ კოლეჯში. პედაგოგებთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეების მიდრეკილებები და ძლიერი მხარეები მათ მშობლებთან აქტიური თანამშრომლობით გამოვლინდა და პროფესიულ სასწავლებელს შესაბამისობაში მოეწყო. სკოლამ შესაბამისი საგანმანათლებლო ცენტრის საშუალებით დაამყარა კომუნიკაცია კოლეჯთან და დაიგეგმა ერთობლივი სამუშაო პროცესი. პირველი ვიზიტის განხორციელების შემდეგ, შემუშავდება მოსწავლის საჭიროებებზე მორგებული ტრანზიციის გეგმა, რომელიც დაეხმარება მას სასწავლო პროცესში გადატანას.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება



	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5	☒ შეესაბამება



მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 მოსწავლეთა მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

		აღწერა
--	--	--------



მოსწავლეთა რაოდენობა: 2500	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მადიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

სსიპ თბილისის N147 საჯარო სკოლა სწავლებას ახორციელებს ზოგადი განათლების სამივე საფეხურზე. სკოლა არის მრავალრიცხოვანი, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს სკოლაში ირიცხება 2180 მოსწავლე და სწავლების პროცესს ახორციელებს 114 მასწავლებელი. სკოლაში მოსწავლეთა რაოდენობა, მიუთითებს მის კონკურენტუნარიანობაზე. სკოლას გარდა ახლად გარემონტებული შენობისა, აქვს კარგად მოწყობილი, რამდენიმე სარეკრეაციო ზონა გარე სივრცეში - სკოლის ეზოში, რაც ასევე სასწავლო პროცესის განუყოფელ სივრცეს წარმოადგენს. ავტორიზაციის ვიზიტისას სკოლამ წარმოადგინა სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და წარმართვის ამსახველი დოკუმენტაცია. საგნობრივმა ექსპერტებმა გაანალიზეს საგანმანათლებლო პროგრამები, კერძოდ სასკოლო სასწავლო გეგმა, საგნობრივი კურიკულუმები, კომპლექსური / შემოქმედებით დავალებების პირობები და შეფასების სქემები, დაგეგმილი და განხორციელებული პროექტები. თითოეულმა საგნობრივმა ექსპერტმა შეაფასა თითოეული საფეხურის საგნობრივი კურიკულუმი. დაწყებითი საფეხურის ექსპერტმა რევიზია გაუკეთა დაწყებითი საფეხურის პროგრამებს. წარმოდგენილი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების ანალიზის შედეგად, ექსპერტების მიერ, სწავლების სამივე საფეხურზე გამოიკვეთა ხარვეზები. კერძოდ, დაწყებით საფეხურზე, ესთეტიკური აღზრდის მიმართულებით, საგნობრივი კურიკულუმის სტრუქტურა (2.1.2.1. კრიტერიუმი), ხოლო საშუალო საფეხურზე ამავე საგნობრივი ჯგუფის მიმართულებით დახარვეზდა შეფასება (2.1.2.5. და 2.2.1.3. კრიტერიუმები). ამასთანავე, სკოლას არ აქვს

სტანდარტის შესაბამისად აღჭურვილი საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, რაც ქმნის შედეგების სრულფასოვანი მიღწევის ნაკლებ შესაძლებლობას. შესაბამისად აღნიშნული მიმართულებით სკოლას დაუდგინდა სტანდარტთან შეუსაბამობა - საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმით განსაზღვრული მატერიალური რესურსის არ ქონა (2.1.2.3 და 2.2.2.3 კრიტერიუმები). ამასთანავე, სამივე საფეხურის მიმართულებით, პროგრამების გაუმჯობესების მიზნით, ექსპერტების მიერ გაიცა კონკრეტული ინდიკატორის შესაბამისი რჩევები.

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	ხარვეზი
ინდიკატორი N		
-	-	-
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	ხარვეზი
ინდიკატორი N		
-	-	-
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	ხარვეზი
ინდიკატორი N		
-	-	-

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხურის ზოგადსაბანმანათლებლო პროგრამა)	ხარვეზი
ინდიკატორი N		-
-	-	



სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხურის ზოგადსაბანმანათლებლო პროგრამა)	ხარვეზი
ინდიკატორი N		
-	-	-

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხურის ზოგადსაბანმანათლებლო პროგრამა)	ხარვეზი
ინდიკატორი N		
-	-	-

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა).¹

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N...		
-	-	-
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N...		
-	-	-
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია

¹ გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

ინდიკატორი N....		
-	-	-

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხურის ზოგადსაბანმანათლებლო პროგრამა)	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N....		
ინდიკატორი 2.2.2.3	სკოლა უზრუნველყოფს საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისათვის საკმარისი რაოდენობის მატერიალურ რესურსს, მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით	სკოლას მიეცა რეკომენდაცია საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიასთან დაკავშირებით: შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში აღჭურვოს სკოლის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია სტარდატის შესაბამისად.

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხურის ზოგადსაბანმანათლებლო პროგრამა)	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N....		
ინდიკატორი 2.2.2.3	სკოლა უზრუნველყოფს საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისათვის საკმარისი რაოდენობის მატერიალურ რესურსს, მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით	სკოლას მიეცა რეკომენდაცია საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიასთან დაკავშირებით: შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში აღჭურვოს სკოლის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია სტარდატის შესაბამისად.

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	რჩევა
ინდიკატორი N....		
-	-	-



სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი N...		
-	-	-
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი N....		
-	-	-

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხურის ზოგადსაბანძანათლებლო პროგრამა)	რჩევა
ინდიკატორი N....		
ინდიკატორი 2.1.2.1.	საგნობრივი კურიკულუმი წარმოადგენს სტრუქტურირებულ დოკუმენტს და მოიცავს ყველა აუცილებელ კომპონენტს	ესთეტიკური აღზრდის მიმართულებით: საფეხურის შესაბამისი კლასის სამიზნე ცენებების ფორმულირებისას გამოიყენეთ საგნობრივი სტანდარტი.
ინდიკატორი 2.1.1.1	კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას	ზოგადი მიმართულება: სასურველია, კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში: - გაიწეროს სასწავლო წლის განმავლობაში რა ფორმითა და ინტენსივობით მოხდება სასკოლო პრიორიტეტების განსაზღვრა; - დაზუსტდეს მეთოდოლოგიაში გათვალისწინებული ზოგადი ჩანაწერები სკოლის სპეციფიკის გათვალისწინებით;
ინდიკატორი 2.1.1.2	კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები	ზოგადი მიმართულება: სასურველია: მკაფიოდ განისაზღვროს რომელი ინსტრუმენტებით მოხდება სასკოლო საზოგადოების ინტერესებისა და პრიორიტეტების შესწავლა სასწავლო წლის განმავლობაში;
ინდიკატორი 2.1.1.3	კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ	ზოგადი მიმართულება: სასურველია: მკაფიოდ განისაზღვროს კურიკულუმის შემუშავების პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობის მექანიზმები და ინდიკატორები;
ინდიკატორი 2.1.1.4	კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ	ზოგადი მიმართულება: სასურველია:



		მკაფიოდ გაიწეროს მშობელთან კომუნიკაციის, ინფორმაციის გაზიარების ინსტრუმენტები სასკოლო ცხოვრებაში სრული ჩართულობისა და მიკუთვნებულობის განცდის წარმოჩენის მიზნით.
ინდიკატორი 2.1.2.1	საგნობრივი კურიკულუმი წარმოადგენს სტრუქტურირებულ დოკუმენტს და მოიცავს ყველა აუცილებელ კომპონენტს	საზოგადოებრივი მეცნიერებები: სასურველია თითოეული სავალდებულო თემის ფარგლებში უფრო მეტი სამიზნე ცნების დამუშავება.
ინდიკატორი 2.1.2.1 ინდიკატორი 2.1.2.2	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული შინაარსი (თემა/საკითხი) უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას	ფიზიკური აღზრდა : სასურველია დაწყებითი საფეხურის კურიკულუმების თემებში, სადაც მუშავდება ერთი სამიზნე ცნება (ჯანსაღი ცხოვრების წესი) თემების შესაბამისი საკითხები 1-6 კლასში გაიწეროს ჯანსაღი ცხოვრების წესის ყველა პრინციპის მიხედვით. (ჰიგიენა, სწორი/ჯანსაღი კვება, ფიზიკური აქტივობა, დღის რეჟიმი, მავნე ჩვევები, უსაფრთხოება.)
ინდიკატორი 2.1.2.2	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული აქტივობები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას	ფიზიკური აღზრდა : ფიზიკური აღზრდის 1-6 კლასის კურიკულუმებში სასურველია დაემატოს თემა: „მომრავი თამაშები“ იმ სპორტის სახეობის ელემენტებით, რომლის რესურსიც(ინვენტარი) გააჩნია სკოლას.
ინდიკატორი 2.1.2.1 ინდიკატორი 2.1.2.2	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული შუალედური მიზანი/მიზნები წარმოადგენს შემოქმედებით პროდუქტს	საზოგადოებრივი მეცნიერებები: სასურველია თითოეული სავალდებულო თემის ფარგლებში უფრო მეტი პროექტული ტიპის დავალების გაწერა, რომლის შედეგადაც მოსწავლეები შექმნიან შემოქმედებით პროდუქტს.
ინდიკატორი 2.1.2.3	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო რესურსი უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას	ესთეტიკური აღზრდა: მუსიკის კურიკულუმის სრულყოფის მიზნით შემდგომი მუშაობის ეტაპზე სასურველია სკოლამ გაითვალისწინოს: ✓ მუსიკის საგნის II კლასის კურიკულუმში ყველა თემასთან მიმართებით მიეთითოს ძირითადი რესურსის შესაბამისი გვერდები მათემატიკა: სასურველია, შერჩეული სასწავლო რესურსები შესაბამისობაში იყოს საკითხთა კლასტერთან. ძირითადი სასწავლო რესურსი არის გრიფირებული ან შეთანხმებული საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან , კანონმდებლობით დადგენილი წესით
ინდიკატორი 2.2.2.1	სასწავლო პროცესში გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი	ესთეტიკური აღზრდა: კურიკულუმის სრულყოფის მიზნით შემდგომი მუშაობის ეტაპზე სასურველია სკოლამ გაითვალისწინოს:



	და დამხმარე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სასწავლო რესურსი	✓ სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მე 3 კლასის კურიკულუმში ყველა თემასთან მიმართებით მიეთითოს სასწავლო ძირითადი/ დამხმარე რესურსი/ები, შესაბამისი ბმულებით ✓ მუსიკის მე 2 კლასის კურიკულუმებში ყველა თემასთან მიმართებით მიეთითოს სასწავლო ძირითადი/ დამხმარე რესურსი/ები, შესაბამისი ბმულებით
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	ესთეტიკური აღზრდა: სასურველია კურიკულუმში ✓ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები თან ახლდეს თითოეულ საკითხს ✓ შეფასების კრიტერიუმები/ინდიკატორები მკვეთრად ფოკუსირებული იყოს თემაზე/საკითხზე თითოეულ კრიტერიუმში, კონკრეტული სამიზნე ცნების ქვეცნებებს/ ინდიკატორს მიენიჭოს ქულადობრივი წონა საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასებების რუბრიკები ზოგადი სახისაა, სასურველია შეფასების რუბრიკა იყოს ერთი კონკრეტული აქტივობის, ძირითად კონტექსტ მაგალითზე მორგებული და მკვეთრად ორიენტირებული სამიზნე ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებზე. საზოგადოებრივი მეცნიერებები: სასურველია საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფის პედაგოგების პრაქტიკის გაუმჯობესება ამ მიმართულებით, რათა უკეთ შეძლონ ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპების, მიზნებისა და ამოცანების გათვალისწინება. კერძოდ: 1) თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორების დაზუსტება საკითხთან მიმართებით; 2) განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკისა და შემაჯამებელი დავალების ტესტის ურთიერთდაკავშირება; 3) განმავითარებელ რუბრიკებში მოლოდინების ჩამოყალიბების პრაქტიკის გაუმჯობესება 4) შემაჯამებელი დავალების ანალიზის ფორმის განვითარება.
ინდიკატორი 2.1.2.4	საგნობრივ კურიკულუმში გათვალისწინებულია დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები	საზოგადოებრივი მეცნიერებები: სასურველი და მნიშვნელოვანია კომპლექსური დავალებების პირობის ადაპტირება (როგორც სსსმ, ისე ტიპური განვითარების მოსწავლეებისთვის, რომლებიც დაბალი მზაობით გამოირჩევიან) დიფერენცირებული მიდგომების გათვალისწინებით.
ინდიკატორი 2.2.1.4	სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი	ზოგადი მიმართულება: სასურველია:

		მკაფიოდ განისაზღვროს რა ინსტრუმენტებითაა შესაძლებელი იმის დადგენა, თ რამდენად რელევანტურია შეფასების სისტემა და ემსახურება თუ არა შედეგებ გაუმჯობესების პროცესს.
ინდიკატორი 2.3.1.1	მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად	ზოგადი მიმართულება: სასურველია: მეთოდოლოგიაში კონკრეტულად აისახოს ის მექანიზმები /ინსტრუმენტები, რომლითაც სკოლა ახორციელებს, ან სამომავლოდ გეგმავს განახორციელოს მონიტორინგი და შეფასება (მაგალითად: დაკვირვება, გამოკითხვა, კვლევა, ინტერვიუ, SWAT ანალიზი და სხვა)

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხურის ზოგადსაბანმანათლებლო პროგრამა)	რჩევა
ინდიკატორი N....		
ინდიკატორი 2.1.1.1	კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას	ზოგადი მიმართულება: სასურველია კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში: - გაიწეროს სასწავლო წლის განმავლობაში რა ფორმითა და ინტენსივობით მოხდება სასკოლო პრიორიტეტების განსაზღვრა; - დაზუსტდეს მეთოდოლოგიაში გათვალისწინებული ზოგადი ჩანაწერები სკოლის სპეციფიკის გათვალისწინებით;
ინდიკატორი 2.1.1.2	კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები	ზოგადი მიმართულება: სასურველია: მკაფიოდ განისაზღვროს რომელი ინსტრუმენტებით მოხდება სასკოლო საზოგადოების ინტერესებისა და პრიორიტეტების შესწავლა სასწავლო წლის განმავლობაში;
ინდიკატორი 2.1.1.3	კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ	ზოგადი მიმართულება: სასურველია: მკაფიოდ განისაზღვროს კურიკულუმის შემუშავების პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობის მექანიზმები და ინდიკატორები;
ინდიკატორი 2.1.1.4	კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ	ზოგადი მიმართულება: სასურველია: მკაფიოდ გაიწეროს მშობელთან კომუნიკაციის, ინფორმაციის გაზიარების ინსტრუმენტები სასკოლო ცხოვრებაში სრული ჩართულობისა და მიკუთვნებულობის განცდის წარმოჩენის მიზნით.

ინდიკატორი 2.1.2.1 ინდიკატორი 2.1.2.2	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული შინაარსი (თემა/საკითხი) უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას	ფიზიკური აღზრდა : სასურველია, საბაზო საფეხურის კურიკულუმებს მავნე ჩვევების პრევენციასთან ერთად დაემატოს თემა „ოლიმპიზმი“, სადაც მუშავდება ერთი სამიზნე ცნება (ჯანსაღი ცხოვრების წესი) და შესაბამისად, შეძლებისდაგვარად, სრულად შეისწავლონ ოლიმპიზმის განვითარების ისტორია (ანტიკური და თანამედროვე ოლიმპიადები; საქართველო ოლიმპიადებზე; ქართველი ოლიმპიელები; ზამთრის ოლიმპიადა; პარა ოლიმპიადა; ოლიმპიური სიმბოლოები და ა.შ).
ინდიკატორი 2.1.2.1 ინდიკატორი 2.1.2.2	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული შუალედური მიზანი/მიზნები წარმოადგენს შემოქმედებით პროდუქტს	ესთეტიკური აღზრდა: სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალების ტექსტის ფორმულირებისას გამოკვეთეთ რა საშუალებით მიიღწევა შემოქმედებითი პროდუქტი
ინდიკატორი 2.1.2.3	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული მატერიალური რესურსი (ტიპი, რაოდენობა) უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: კათედრის წევრთა ერთობლივი შეთანხმებით, სასურველია რესურსების ბაზა დააღაგდეს კლასების, თემების საკითხების მიხედვით კურიკულუმის შესაბამისად. შეივსოს ლაბორატორიაში არსებული რესურსები შერჩეული აქტივობების შესაბამისად. საზოგადოებრივი მეცნიერებები: სასურველია თითოეული სავალდებულო თემის ფარგლებში უფრო მეტი პროექტული ტიპის დავალების გაწერა, რომლის შედეგადაც მოსწავლეები შექმნიან შემოქმედებით პროდუქტს.
ინდიკატორი 2.1.2.4	საგნობრივ კურიკულუმში გათვალისწინებულია დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები	მათემატიკა სასურველია, ჩატარებული სადიაგნოსტიკო ტესტირების შედეგების გათვალისწინებით საჭირო სარემედიაციო პროგრამა წარმოადგინონ დოკუმენტურად, წერილობით. საზოგადოებრივი მეცნიერებები: სასურველი და მნიშვნელოვანია კომპლექსური დავალებების პირობის ადაპტირება (როგორც სსსმ, ისე ტიპური განვითარების მოსწავლეებისთვის, რომლებიც დაბალი მზაობით გამოირჩევიან) დიფერენცირებული მიდგომების გათვალისწინებით.
ინდიკატორი 2.2.2.1	სასწავლო პროცესში გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სასწავლო რესურსი	ესთეტიკური აღზრდა: კურიკულუმის სრულყოფის მიზნით შემდგომი მუშაობის ეტაპზე სასურველია სკოლამ გაითვალისწინოს: ✓ მუსიკის საგნის კურიკულუმში ყველა თემასთან მიმართებით მიეთითოს სასწავლო დამხმარე რესურსი/ები, შესაბამისი ბმულებით

		✓ დააკონკრეტეთ „სამინისტროს რესურსები“
ინდიკატორი 2.1.2.2	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული აქტივობები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას	უცხოური ენები : სასურველია მოხდეს საგანთა შორის ინტეგრირება, მოსწავლემ შეძლოს ცალკეულ საგნებში მიღებული ცოდნის ურთიერთ დაკავშირება
ინდიკატორი 2.2.2.3	სკოლა უზრუნველყოფს საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისათვის საკმარისი რაოდენობის მატერიალურ რესურსს, მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით	ფიზიკური აღზრდა : სასურველია სკოლამ დამატებით იზრუნოს მიმდინარე სასწავლო წელს, აგრეთვე გრძელვადიან პერიოდში როგორც სპორტული ინვენტარის შეძენის, ასევე სკოლის სპორტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე.
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	ესთეტიკური აღზრდა: სასურველია კურიკულუმში ✓ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები თან ახლდეს თითოეულ თემას/ საკითხს ✓ შეფასების კრიტერიუმები/ინდიკატორები მკვეთრად ფოკუსირებული იყოს თემაზე/საკითხზე ✓ თითოეულ კრიტერიუმში, კონკრეტული სამიზნე ცნების ქვეცნებებს/ ინდიკატორს მიენიჭოს ქულადობრივი წონა. საზოგადოებრივი მეცნიერებები: სასურველია საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფის პედაგოგების პრაქტიკის გაუმჯობესება ამ მიმართულებით, რათა უკეთ შეძლონ ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპების, მიზნებისა და ამოცანების გათვალისწინება. კერძოდ: 1) თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორების დაზუსტება საკითხთან მიმართებით; 2) განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკისა და შემაჯამებელი დავალების ტესტის ურთიერთდაკავშირება; 3) განმავითარებელ რუბრიკებში მოლოდინების ჩამოყალიბების პრაქტიკის გაუმჯობესება 4) შემაჯამებელი დავალების ანალიზის ფორმის განვითარება.
ინდიკატორი 2.2.1.4	სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი	ზოგადი მიმართულება: სასურველია: მკაფიოდ განისაზღვროს რა ინსტრუმენტებითაა შესაძლებელი იმის დადგენა, თუ რამდენად რელევანტურია შეფასების სისტემა და ემსახურება თუ არა შედეგების გაუმჯობესების პროცესს.
ინდიკატორი 2.3.1.1	მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად	ზოგადი მიმართულება: სასურველია: მეთოდოლოგიაში კონკრეტულად აისახოს ის მექანიზმები /ინსტრუმენტები, რომლითაც სკოლა ახორციელებს, ან სამომავლოდ გეგმავს განახორციელოს



		მონიტორინგი და შეფასება (მაგალითად: დაკვირვება, გამოკითხვა, კვლევა, ინტერვიუ, SWAT ანალიზი და სხვა)
--	--	---

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხურის ზოგადსაბანმანათლებლო პროგრამა)	რჩევა
ინდიკატორი N....		
ინდიკატორი 2.1.1.1	კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას	ზოგადი მიმართულება: სასურველია კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში: • გაიწეროს სასწავლო წლის განმავლობაში რა ფორმითა და ინტენსივობით მოხდება სასკოლო პრიორიტეტების განსაზღვრა; • დაზუსტდეს მეთოდოლოგიაში გათვალისწინებული ზოგადი ჩანაწერები სკოლის სპეციფიკის გათვალისწინებით;
ინდიკატორი 2.1.1.2	კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები	ზოგადი მიმართულება: სასურველია: მკაფიოდ განისაზღვროს რომელი ინსტრუმენტებით მოხდება სასკოლო საზოგადოების ინტერესებისა და პრიორიტეტების შესწავლა სასწავლო წლის განმავლობაში;
ინდიკატორი 2.1.1.3	კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ	ზოგადი მიმართულება: სასურველია: მკაფიოდ განისაზღვროს კურიკულუმის შემუშავების პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობის მექანიზმები და ინდიკატორები;
ინდიკატორი 2.1.1.4	კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ	ზოგადი მიმართულება: სასურველია: მკაფიოდ გაიწეროს მშობელთან კომუნიკაციის, ინფორმაციის გაზიარების ინსტრუმენტები სასკოლო ცხოვრებაში სრული ჩართულობისა და მიკუთვნებულობის განცდის წარმოჩენის მიზნით.
ინდიკატორი 2.1.2.1 ინდიკატორი 2.1.2.2	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული შინაარსი (თემა/საკითხი) უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას	საზოგადოებრივი მეცნიერებები: სასურველია თითოეული სავალდებულო თემის ფარგლებში უფრო მეტი პროექტული ტიპის დავალების გაწერა, რომლის შედეგადაც მოსწავლეები შექმნიან შემოქმედებით პროდუქტს.
ინდიკატორი 2.1.2.1	საგნობრივი კურიკულუმი წარმოადგენს სტრუქტურირებულ დოკუმენტს და მოიცავს ყველა აუცილებელ კომპონენტს	მათემატიკა:

		სასურველია XI- XII კლასის კურიკულუმი შემუშავდეს ყველა აუცილებელი კომპონენტის თემა/სამიზნე ცნებები/ქვეცნებებისა და კომპლექსური დავალების იდეის გათვალისწინებით.
ინდიკატორი 2.1.2.2	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული აქტივობები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას	უცხოური ენები : სასურველია მოხდეს საგანთა შორის ინტეგრირება, მოსწავლემ შეძლოს ცალკეულ საგნებში მიღებული ცოდნის ურთიერთ დაკავშირება
ინდიკატორი 2.1.2.3	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული მატერიალური რესურსი (ტიპი, რაოდენობა) უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: კათედრის წევრთა ერთობლივი შეთანხმებით, სასურველია რესურსების ბაზა დააღაგდეს კლასების, თემების საკითხების მიხედვით კურიკულუმის შესაბამისად. შეივსოს ლაბორატორიაში არსებული რესურსები შერჩეული აქტივობების შესაბამისად.
ინდიკატორი 2.1.2.4	საგნობრივ კურიკულუმში გათვალისწინებულია დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: სასურველი და მნიშვნელოვანია კომპლექსური დავალებების პირობის ადაპტირება (როგორც სსსმ, ისე ტიპური განვითარების მოსწავლეებისთვის, რომლებიც დაბალი მზაობით გამოირჩევიან) დიფერენცირებული მიდგომების გათვალისწინებით.
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	საზოგადოებრივი მეცნიერებები: სასურველია საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფის პედაგოგების პრაქტიკის გაუმჯობესება ამ მიმართულებით, რათა უკეთ შეძლონ ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპების, მიზნებისა და ამოცანების გათვალისწინება. კერძოდ: 1) თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორების დაზუსტება საკითხთან მიმართებით; 2) განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკისა და შემაჯამებელი დავალების ტესტის ურთიერთდაკავშირება; 3) განმავითარებელ რუბრიკებში მოლოდინების ჩამოყალიბების პრაქტიკის გაუმჯობესება 4) შემაჯამებელი დავალების ანალიზის ფორმის განვითარება.
ინდიკატორი 2.2.1.4	სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი	ზოგადი მიმართულება: სასურველია: მკაფიოდ განისაზღვროს რა ინსტრუმენტებითაა შესაძლებელი იმის დადგენა, თუ რამდენად რელევანტურია შეფასების სისტემა და ემსახურება თუ არა შედეგების გაუმჯობესების პროცესს.
ინდიკატორი 2.3.1.1	მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად	ზოგადი მიმართულება: სასურველია: მეთოდოლოგიაში კონკრეტულად აისახოს ის მექანიზმები /ინსტრუმენტები, რომლითაც სკოლა ახორციელებს, ან სამომავლოდ გეგმავს განახორციელოს

		მონიტორინგი და შეფასება (მაგალითად: დაკვირვება, გამოკითხვა, კვლევა, ინტერვიუ, SWAT ანალიზი და სხვა)
--	--	---

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე. 2024 წლის 12 და 13 სექტემბერს სსიპ - ქალაქ თბილისის 147 საჯარო სკოლაში განხორციელდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი. ვიზიტის ფარგლებში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებით“ განსაზღვრული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის შესრულების შემოწმება განხორციელდა.

სკოლა შემოწმდა ავტორიზაციის სტანდარტის ოთხივე მიმართულებით.

საგნობრივმა ექსპერტებმა გაანალიზეს საგანმანათლებლო პროგრამები, კერძოდ სასკოლო სასწავლო გეგმა, საგნობრივი კურიკულუმები, კომპლექსური / შემოქმედებით დავალებების პირობები და შეფასების სქემები, დაგეგმილი და განხორციელებული პროექტები. თითოეულმა საგნობრივმა ექსპერტმა შეაფასა თითოეული საფეხურის საგნობრივი კურიკულუმი. დაწყებითი საფეხურის ექსპერტმა რევიზია გაუკეთა დაწყებითი საფეხურის პროგრამებს. წარმოდგენილი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების ანალიზის შედეგად, ექსპერტების მიერ, სწავლების სამივე საფეხურზე გამოიკვეთა ხარვეზები. კერძოდ, დაწყებით საფეხურზე, ესთეტიკური აღზრდის მიმართულებით, საგნობრივი კურიკულუმის სტრუქტურა (2.1.2.1. კრიტერიუმი), ხოლო საშუალო საფეხურზე ამავე საგნობრივი ჯგუფის მიმართულებით დახარვეზდა შეფასება (2.2.1.3. კრიტერიუმი). ამასთანავე, სკოლას არ აქვს სტანდარტის შესაბამისად აღჭურვილი საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, რაც

ქმნის შედეგების სრულფასოვანი მიღწევის ნაკლებ შესაძლებლობას. შესაბამისად აღნიშნული მიმართულებით სკოლას დაუდგინდა სტანდარტთან შეუსაბამობა - საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმით განსაზღვრული მატერიალური რესურსის არ ქონა (2.2.2.3 კრიტერიუმი). ამასთანავე, სამივე საფეხურის მიმართულებით, პროგრამების გაუმჯობესების მიზნით, ექსპერტების მიერ გაიცა კონკრეტული ინდიკატორის შესაბამისი რჩევები.

დასკვნის პროექტის გაზიარებისას, სკოლა დაეთანხმა ექსპერტთა მიგნებებს და არგუმენტირებული პოზიციის გამოხატვისას წარადგინა შესაბამისობის გეგმა. აღნიშნულ გეგმაში გაწერილია თითოეული ხარვეზის შესაბამისი განსახორციელებელი / განხორციელებული აქტივობები, შესაბამისი თარიღები, გზები და რისკები. კერძოდ, ესთეტიკური აღზრდის მიმართულებით სკოლამ წარმოადგინა განახლებული კურიკულუმები და შეფასების სქემები, საგნობრივი ჯგუფის ექსპერტმა, გააანალიზა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია, დახარვეზებული ინდიკატორი მიიჩნია დაკმაყოფილებულად და კურიკულუმის უკეთ განხორციელების ხელშეწყობის მიზნით გასცა რჩევები. რაც შეეხება საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის უზრუნველყოფას და ამ მიმართულებით ხარვეზს, სკოლას შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქვს კონკრეტული თარიღები, რა ვადაშიც განახორციელებს ლაბორატორიის სტანდარტის შესაბამისად აღჭურვას, შესაბამისობის გეგმაში გაწერილია ამოცანები და გზები. აქვე უნდა აღნიშნოს, რომ სკოლას აღნიშნული მიმართულებით გადადგმული აქვს უკვე პირველი ნაბიჯები და მიწერილი აქვს შესაბამისი წერილი სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დირექტორთან. ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, საგნობრივმა ექსპერტმა კრიტერიუმი მიიჩნია მეტწილად შესაბამისად (ვადებიდან გამომდინარე) და გაიზიარა არგუმენტირებულ პასუხში წარმოდგენილი სკოლის პოზიცია.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მისია შეესაბამება ზოგადი განათლების მიზნებს. კერძოდ, სკოლის მისიას საზოგადოებასთან ურთიერთობის გზით ხელი შეუწყოს თავისუფლად მოაზროვნე, პასუხისმგებლობის გრძნობით აღსავსე, ეროვნული სულისკვეთების, გარემოზე მზრუნველი მოქალაქის აღზრდას, აღნიშნული გამომდინარეობს ზოგადი განათლების მიზნებიდან. **ინდიკატორი 1.1.1.1. შეესაბამება.**

2. სკოლა მისიით განსაზღვრავს საკუთარ როლს, მიიჩნევს, რომ მან ხელი უნდა შეუწყოს თავისუფლად მოაზროვნე, პასუხისმგებლობის გრძნობით აღსავსე, ეროვნული სულისკვეთების, გარემოზე მზრუნველი მოქალაქის აღზრდას. მისიას ამყარებს სკოლის ხედვა, რომლის მიხედვითაც სკოლას აკისრია მოსწავლეებს გამოუმუშაონ საჭირო უნარ-ჩვევები, რათა ისინი მოამზადონ წინსვლისთვის, ხელი შეუწყონ მოსწავლის თავისუფალ, ღირსეულ პიროვნებად ჩამოყალიბებას. ამისათვის სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს, ფორმალურ და არაფორმალურ განათლებას. **1.1.1.2. ინდიკატორი შეესაბამება.**

3. აღნიშნულის მტკიცებულებად შეიძლება მივიჩნიოთ სამეურვეო საბჭოს ჩართულობა, სასკოლო ცხოვრებაში, პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილებები და ა.შ. სკოლის მისიის ხედვისა და ღირებულებების და სასკოლო კურიკულუმის მეთოდოლოგიის რევიზირებისათვის ჯგუფის შექმნა. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და სიტუაციის (სკოლის პირველადი ავტორიზაცია) ანალიზის შედეგად, **1.1.1.3. ინდიკატორი შეესაბამება;**

4. სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილია სკოლის მისია, ხედვასა და ღირებულებებზე მომუშავე ჯგუფი. ჯგუფში გაერთიანებულები არიან სკოლის ადმინისტრაცია და სკოლაში დასაქმებული პირები. დრო და დრო მუშაობის პროცესში, დოკუმენტის შექმნისას ერთვებოდნენ სკოლის სხვა თანამშრომლებიც და თავისებურ უკუკავშირს აწვდიდნენ კოლეგებს. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები დამტკიცებულია სკოლის სამეურვეო საბჭოს მიერ, რაც თავისთავად გულისხმობს სასკოლო საზოგადოების ჩართულობას. ამასთანავე სკოლა აქტიურად იყენებს სოციალურ ქსელს და მუდმივად აზიარებს აღნიშნულ ინფორმაციას, კომენტარების სახით იღებს უკუკავშირსაც. **1.1.1.4. ინდიკატორი შეესაბამება;**

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები ხელმისაწვდომია სკოლის სოციალ გვერდსა და ვებგვერდზე - <https://skolebi.emis.ge> - სსიპ თბილისის 147 საჯარო სკოლა. მის შემუშავებაში მონაწილეობას იღებს სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც შედიან: მასწავლებლები, მოსწავლე და სამეურვეო საბჭოს წარმომადგენელი. **1.1.1.5. ინდიკატორი შეესაბამება;**

6. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანებით „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ სკოლის სახელწოდებად განსაზღვრულია: სსიპ თბილისის 147 საჯარო სკოლა. შესაბამისად, სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს. **1.1.1.6. ინდიკატორი შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ თბილისის 147 საჯარო სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები



- სსიპ თბილისის 147 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოსა და პედაგოგიური საბჭოს სხდომების ოქმები;
- სსიპ თბილისის 147 საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 10 ივნისის ბრძანება - სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების მეთოდოლოგიის წესის შედგენისა და მისი რევიზიის მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ
- სსიპ თბილისის 147 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომის 2023 წლის 8 სექტემბრის ოქმი N1
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის, 15 სექტემბრის ბრძანება N448 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ წარმოადგინა სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია. აღნიშნული მეთოდოლოგიის მიხედვით, სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილია ჯგუფი, რომელიც მუშაობს სტრატეგიულ გეგმაზე და სკოლის ფილოსოფიაზე. აღნიშნული ჯგუფის შემადგენლობაში შედიან როგორც მასწავლებლების, ასევე სამეურვეო საბჭოს და მოსწავლეების წარმომადგენლები, რაც სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინებას გულისხმობს. **1.2.1.1. ინდიკატორი შეესაბამება.**

2. სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური ეფუძნება სკოლის ფილოსოფიასა და SWOT ანალიზს. გამოყოფილია სკოლის ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები. განსაზღვრულია სტრატეგიული შემდეგი მიმართულებები: სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება; არაფორმალური განათლების გაძლიერება; ადამიანური რესურსებია განვითარება; მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება; უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა; სასკოლო საზოგადოების ჩართულობა; მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება; ორგანიზაციული განვითარება. თითოეული სტრატეგიული მიმართულება, თავის მხრივ ჩაშლილია შესაბამის ამოცანებად. სტრატეგიული მიზნების განსახორციელებელ, ამოცანებთან ერთად, მოცემულია შესრულების პერიოდი წლების მიხედვით. **1.2.1.2. ინდიკატორი შეესაბამება.**

3. სკოლის მიერ წარმოდგენილი სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი (2023-2024 წლის). სკოლამ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს ვიზიტისას წარუდგინა 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა. სამოქმედო გეგმა ეფუძნება სტრატეგიული გეგმაში განსაზღვრულ სტრატეგიულ მიზნებს. **1.2.1.3. ინდიკატორი შეესაბამება.**

4. სკოლის მიერ წარმოდგენილი ერთწლიანი სამოქმედო გეგმა მოიცავს სკოლისათვის საჭირო პრიორიტეტულ მიმართულებებს: 1. სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება. 2. ადამიანური რესურსის განვითარება. 3. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება. 4. უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა. 5. სასკოლო საზოგადოების ჩართულობა. 6. მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება. 7. ორგანიზაციული განვითარება. თითოეული მიმართულების შესაბამისად, სკოლას განსაზღვრული აქვს: სტრატეგიული მიზანი, მიზნის შესაბამისი ამოცანები,

შესაბამისი აქტივობები, პასუხისმგებელი პირები, შესრულების პერიოდი, შესრულების ინდიკატორი და რესურსი. **1.2.1.4. ინდიკატორი შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ თბილისის 147 საჯარო სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- სსიპ თბილისის 147 საჯარო სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა;
- სსიპ თბილისის 147 საჯარო სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების, სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მეთოდოლოგია;
- სსიპ თბილისის 147 საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 13 ივნისის ბრძანება, სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების, სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ;

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების, სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მეთოდოლოგია. დოკუმენტი მოიცავს სკოლის ფილოსოფიის, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების

ეტაპებს, პასუხისმგებელ პირებს, რევიზიის ეტაპებს, მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. **1.2.2.1. ინდიკატორი შეესაბამება.**

2. სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დოკუმენტში გაწერილი პროცესების მიხედვით, სკოლა გეგმავს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებას. ავტორიზაციის ექსპერტთა სკოლაში ვიზიტის პერიოდში, სკოლამ წარმოადგინა სტრატეგიული გეგმის პროექტი, რომელიც შეთანხმებული იყო სამეურვეო საბჭოსთან და გამზადებული იყო დასამტკიცებლად. პროექტში, გეგმების რევიზიის შედეგად შეტანილი იყო დამატებითი აუცილებლობები (კვების ობიექტის მოწყობა, რომელიც სკოლამ 2024-2025 სასწავლო წლისათვის პრიორიტეტულად მიიჩნია), წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და სიტუაციის (სკოლის პირველადი ავტორიზაცია) ანალიზის შედეგად, **1.2.2.2. ინდიკატორი შეესაბამება;**

3. სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დოკუმენტის მიხედვით სკოლა გეგმავს მიღებული შედეგების გასაჯაროებას. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და სიტუაციის (სკოლის პირველადი ავტორიზაცია) ანალიზის შედეგად, **1.2.2.3. ინდიკატორი შეესაბამება;**

4. სამომავლოდ სკოლა გეგმავს, რომ სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის დროს მიღებული შედეგები გამოიყენოს მომავალი დაგეგმვისათვის. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და სიტუაციის (სკოლის პირველადი ავტორიზაცია) ანალიზის შედეგად, **1.2.2.4. ინდიკატორი შეესაბამება;**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ თბილისის 147 საჯარო სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- სსიპ თბილისის 147 საჯარო სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა;
- სსიპ თბილისის 147 საჯარო სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების, სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მეთოდოლოგია;

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას დასაქმებულ პირებთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულები და განსაზღვრულია კონკრეტული ფუნქციები. ამასთანავე, სკოლის დირექტორს ბრძანებით დამტკიცებული აქვს სკოლის დებულება, რომელშიც განსაზღვრულია სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების / პირების ფუნქცია - მოვალეობები.

სკოლას ვებგვერდზე გამოქვეყნებული აქვს სკოლის სტრუქტურული ერთეულები. წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით, სკოლაში ფუნქციონირებს შემდეგი სტრუქტურული ერთეულები: სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინური კომიტეტი, საგნობრივი კათედრები, მრჩეველთა საბჭო. სკოლა სტრუქტურული ერთეულების საქმიანობასა და მათ შორის კოორდინაციისთვის ხელმძღვანელობს, ზოგადი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის და „საჯარო სკოლის წესდების შესახებ” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N 448 ბრძანების

მიხედვით და თანამშრომლებთან დადებული შრომითი ხელშეკრულებით, სადაც გაწერილია მათი უფლება-მოვალეობები.

აღნიშნული ხელშეკრულებები, სკოლის შინაგანაწესის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს **3.1.1.1. ინდიკატორი შეესაბამება;**

2. აღნიშნული მიმართულებით სკოლა ეყრდნობა საქართველოს კონსტიტუციას, საქართველოს ორგანულ კანონს: საქართველოს შრომის კოდექს“ და „ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონს“, ასევე მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექს, სკოლის შინაგანაწესსა და სხვა მოქმედ კანონმდებლობას, სკოლის დებულებას, შემუშავებულია თანამშრომლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებს, სხვადასხვა ერთეულის დებულებები (ბიბლიოთეკარის, თვითმმართველობის, პედაგოგიური საბჭოსი და ა.შ.), რომელთა შორისაც ფუნქცია მოვალეობის გადანაწილება ხელს უწყობს სკოლაში საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას. **3.1.1.2. ინდიკატორი შეესაბამება;**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ თბილისის 147 საჯარო სკოლის სტრუქტურა;
- სსიპ თბილისის 147 საჯარო სკოლის ბიბლიოთეკარის დებულება;
- სსიპ თბილისის 147 საჯარო სკოლის პედაგოგიურისაბჭოს დებულება;
- სსიპ თბილისის 147 საჯარო სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება;
- სსიპ თბილისის 147 საჯარო სკოლის სამეურვეო და პედაგოგიური საბჭოს, დისციპლინური კომიტეტის, მრჩეველთა საბჭოს სხდომების ოქმები;
- სსიპ თბილისის 147 საჯარო სკოლის სტრუქტურა;
- სსიპ თბილისის 147 საჯარო სკოლის ვებ-გვერდი;
- სსიპ თბილისის 147 საჯარო სკოლის დებულება.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის ერთ-ერთი ამოცანაა დასაქმებული პირების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა. ამ მიზნით, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშესაწყობად, სკოლას შექმნილი აქვს ხარისხის განვითარების ჯგუფი. რომლის მიზანია, სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლების მიზნით გაკვეთილებზე დასწრება, რეკომენდაციის გაცემა და დაგეგმვაში ხელშეწყობა. რაც შეეხება სკოლაში დასაქმებულ სხვა პირებს, გარდა მასწავლებლისა, მათი საჭიროებების დადგენა ხდება დაკვირვებით, თავად პერსონალზე დაკვირვება, მის მიერ შესრულებულ სამუშაოზე დაკვირვებით, ან თვითშეფასების საფუძველზე. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და სიტუაციის (სკოლის პირველადი ავტორიზაცია) შედეგად, **3.1.2.1. ინდიკატორი შეესაბამება.**

2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა, აღნიშნული დასტურია ის, რომ სკოლა სიტუაციის ანალიზის შედეგად, ადგენს კადრების საჭიროებას, ქმნის ვაკანტურ პოზიციებს, აღწერს სამუშაოს, პოზიციის შესაბამისად ფუნქცია-მოვალეობებს. ორიენტირებულია კადრების მოზიდვასა და მათ განვითარებაზე.

3.1.2.2. ინდიკატორი შეესაბამება.

3. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში, აღნიშნულია, რომ თანამშრომელთა შერჩევა ხორციელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, შემდეგ პრინციპებზე დაყრდნობით: ობიექტურობა და გამჭვირვალობა. პერსონალის შერჩევის პროცესი არის მკაფიო, თანმიმდევრული და გამჭვირვალე პროცედურა, რომელიც უზრუნველყოფს კვალიფიციური და შესაბამისი კადრების მოზიდვას და შერჩევას. დაწესებულება ვაკანტური პოზიციის განაცხადს ქმნის სამუშაო აღწერების დოკუმენტზე დაყრდნობით შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნების გათვალისწინებით და კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოფს შერჩევის ეტაპების განხორციელებას. ხოლო რაც შეეხება მასწავლებელს, მასწავლებელი ვაკანტურ პოზიციაზე ინიშნება შიდა ან ღია კონკურსის საფუძველზე, სპეციალური მასწავლებელი კი ღია

კონკურსის საფუძველზე. კონკურსში მონაწილე პირი უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებას, რაც შეეხება სხვა თანამშრომელს (გარდა მასწავლებლისა), ხდება დირექტორთან გასაუბრების გზით და ასევე კონკურსის საფუძველზე. **3.1.2.3. ინდიკატორი შეესაბამება.**

4. სკოლას შემუშავებული აქვს სკოლის დებულება. აღნიშნული დოკუმენტი არეგულირებს თანამდებობრივ ინსტრუქციებს, ფუნქცია მოვალეობებსა. სკოლაში დასაქმებული მასწავლებლები შერჩეულნი არიან „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 174/ნ ბრძანების შესაბამისად. აქედან გამომდინარე მათი კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებული თანამდებობის კვალიფიკაციას. ხოლო რაც შეეხება სკოლაში დასაქმებულ სხვა თანამშრომლებს, მათი მიღება ხდება დირექტორთან გასაუბრების გზით და ასევე კონკურსის საფუძველზე. **3.1.2.4. ინდიკატორი შეესაბამება.**

5. სკოლაში ყველა პროცესი ეფუძნება მონაწილეობით და გუნდურ მუშაობას. სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელშიც აღწერილია ახალი თანამშრომლის მიღების და ადაპტაციის ეტაპები, სკოლის როლი ამ კონკრეტულ შემთხვევაში, რაც ბუნებრივია ხელს უწყობს ორგანიზაციული კულტურის გუნდურობის დასტურია ასევე, დოკუმენტებზე მუშაობის გაზიარება, რომელშიც აქტიურ მონაწილეობას იღებენ საგნობრივი კათედრები, პედაგოგიური საბჭო, სამეურვეო საბჭო. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტისას გამოკვეთილად აღსანიშნავი იყო კოლექტივის გუნდური მუშაობა, რაც გამოიხატებოდა მხარდაჭერასა და გვერდით დგომაში. **3.1.2.5. ინდიკატორი შეესაბამება.**

6. სკოლის შინაგანაწესის მიხედვით, სკოლას აქვს დადგენილი თანამშრომელთა წახალისების მექანიზმები: მაღლობის გამოცხადება, ფულადი პრემია და სხვ. აღნიშნულის დასტურად, სკოლას წარმოდგენილი აქვს სკოლის დირექტორის ინდივიდუალური ბრძანების საფუძველზე, თანამშრომლისთვის მაღლობის გამოცხადების ბრძანება. **3.1.2.6. ინდიკატორი შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ თბილისის 147 საჯარო სკოლის შინაგანაწესი;
- სსიპ თბილისის 147 საჯარო სკოლის დირექტორის 2022 წლის 20 დეკემბრის ბრძანება „სკოლის თანამშრომლებისთვის წახალისების სახით ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემის შესახებ“.
- სსიპ თბილისის 147 საჯარო სკოლის ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკა

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას, დირექტორის ბრძნებით შექმნილი ჰყავს ხარისხის მართვის ჯგუფი, რომლის ფუნქციებში შედის მასწავლებელთა მუდმივი დაკვირვება და განმავითარებელი უკუკავშირი. რაც შეეხება პერსონალის შეფასებას და მათ პროფესიული

მხარდაჭერას, სკოლას მომავალში დაგეგმილი აქვს, შეფასებისა და წახალისების მიზნით, შექმნას ჯგუფი, რომელიც შეაფასებს ადამიანური რესურსის მუშაობას, საქმიანობას და წახალისების ინიციატივით მიმართავს სკოლის დირექტორს; რაც შეეხება სკოლის სხვა თანამშრომლებს, მათი შეფასებისა და პროფესიული საჭიროების დადგენის რაიმე კონკრეტული მექანიზმი არ არის წარმოდგენილი, თუმცა სკოლის ადმინისტრაციის განმარტებით, ასეთ შემთხვევაში, პერსონალის შეფასება ხდება მასზე დაკისრებული სამუშაოს შეფასებით, დაკვირვებით. **3.2.1.1. ინდიკატორი შეესაბამება**

2. მასწავლებლების პროფესიული საჭიროებების დადგენა ხორციელდება ხარისხის მართვის ჯგუფის მიერ გაცემული უკუკავშირის საშუალებით, რაც შეეხება სხვა პერსონალის განვითარებისთვის საჭიროებების დადგენას, ეს ხდება დაკვირვებისა და თვითშეფასების საფუძველზე. სკოლამ აღნიშნული კრიტერიუმის დასტურად წარმოადგინა სკოლის დირექტორისა და სკოლის ბუღალტრის კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგის სერტიფიკატი. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და სიტუაციის (სკოლის პირველადი ავტორიზაცია) ანალიზის შედეგად, **3.2.1.2. ინდიკატორი შეესაბამება;**

3. სკოლაში შექმნილია ხარისხის ჯგუფი, წარმოდგენილია ხარისხის ჯგუფის დებულება, რომლის მიხედვით ხარისხის ჯგუფმა ხელი უნდა შეუწყოს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას. სკოლამ აღნიშნა, რომ მასწავლებლები აქტიურ მონაწილეობას იღებენ კონფერენციებში, ჩართულები არიან სხვადასხვა ტრენინგში. რაც შეეხება სხვა თანამშრომლებს, სკოლა სამომავლოდ გეგმავს მათი საჭიროებების დადგენასა და ხელშეწყობას. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და სიტუაციის (სკოლის პირველადი ავტორიზაცია) ანალიზის შედეგად, **3.2.1.3. ინდიკატორი შეესაბამება;**

4. სკოლის მიერ შემუშავებულ ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკის დოკუმენტში დეტალურად არის გაწერილი ახალი თანამშრომლის ადაპტაციის წესი. განსაზღვრულია სკოლის, კათედრისა და მასწავლებლების მოვალეობები, თუ როგორ რა ნაბიჯებით უნდა შეუწყონ ხელი ახალი თანამშრომლის ადაპტაციას. **3.2.1.4. ინდიკატორი შეესაბამება;**

5. სკოლის შინაგანაწესში გაწერილია თანამშრომლების წახალისების ფორმები. სკოლა აქტიურად იყენებს ამ ფორმებს, რის დასტურადაც შეიძლება მივიჩნიოთ დირექტორის ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტი, მადლობისა და პრემიის ბრძანებები.

3.2.1.6. ინდიკატორი შეესაბამება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ თბილისის 147 საჯარო სკოლის დირექტორის ს. 2022 წლის 15 მარტის ბრძანება N2-593 „სკოლაში ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის“ დამტკიცების შესახებ;
- სსიპ თბილისის 147 საჯარო სკოლის დირექტორისა და ბუღალტრის სერტიფიკატი - ხაზინის ელექტრონული კურსი საჯარო სკოლებისათვის;
- სსიპ თბილისის 147 საჯარო სკოლის დირექტორის 2022 წლის 20 დეკემბრის ბრძანება „სკოლის თანამშრომლებისთვის წახალისების სახით ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემის შესახებ.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად (დაგეგმვა, დანერგვა, მონიტორინგი და შეფასება, რევიზია). სკოლას ჰყავს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. შემუშავებული აქვს გაკვეთილზე დაკვირვების ფორმა. ჯგუფი თავის საქმიანობის ფარგლებში, ესწრება მასწავლებლებს გაკვეთილებზე და აბრუნებს განმავითარებელ უკუკავშირს. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზისა და სკოლის პირველადი ავტორიზაციის საფუძველზე, **3.3.1.1. ინდიკატორი შეესაბამება;**

2. სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში იდენტიფიცირებულია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები. სკოლას ასევე შემუშავებული აქვს სხვადასხვა ერთეულის დებულებები (პედაგოგიური საბჭოს, სამეურვეო საბჭოს, საგნობრივი კათედრის და ა.შ.), გაფორმებული აქვს შრომით ხელშეკრულებები. შემუშავებულია სკოლის დებულება. აღნიშნულ დოკუმენტებში მოცემულია თითოეული რგოლის ფუნქციები, გაწერილია თანამდებობრივი ვალდებულებები, მაგალითად, დირექტორის მოვალეობები, დირექტორის მოადგილის მოვალეობები, სამეურვეო საბჭოს მოვალეობები, სკოლის ბუღალტრის მოვალეობები, მასწავლებლის მოვალეობები, ბიბლიოთეკარის მოვალეობები და ა.შ. თითოეული ვალდებულება დაკავშირებულია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზისა და სკოლის პირველადი ავტორიზაციის საფუძველზე, **3.3.1.2. ინდიკატორი შეესაბამება;**

3. სკოლას შემუშავებული აქვს გასაჩივრებისა და საჩივრის განხილვის წესი, რომელიც ვრცელდება სკოლაში დასაქმებულ ყველა პირზე, მოსწავლეზე, მის მშობელზე/კანონიერ წარმომადგენელზე. ასევე ნებისმიერ დაინტერესებულ პირზე, რომელსაც სურს, სკოლას მიმართოს განცხადებით / საჩივრით. **3.3.1.3. ინდიკატორი შეესაბამება;**

4. სკოლას შემუშავებული და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს წარდგენილი განცხადების / საჩივრის განხილვის პროცედურა. სკოლაში ასევე ფუნქციონირებს სამეურვეო საბჭო და დისციპლინური კომიტეტი. აღნიშნული დოკუმენტები განთავსებულია სკოლის ვებ-გვერდზე. **3.3.1.4. ინდიკატორი შეესაბამება;**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ თბილისის 147 საჯარო სკოლის მიმართ წარდგენილი განცხადების / საჩივრის განხილვის პროცედურა
- სსიპ თბილისის 147 საჯარო სკოლის დირექტორის ს 2022 წლის 15 მარტის ბრძანება N2-593 „სკოლაში ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის“ დამტკიცების შესახებ;
- სსიპ თბილისის 147 საჯარო სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- სსიპ თბილისის 147 საჯარო სკოლის შინაგანაწესი;
- სსიპ თბილისის 147 საჯარო სკოლის დებულება

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შექმნილი ჰყავს სხვადასხვა ჯგუფი, რომლებიც მუშაობენ, სკოლის ფილოსოფიაზე, შემდეგ მას ამტკიცებს სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით სამოქმედო გეგმის შეთანხმება ხდება სამეურვეო საბჭოსთან, პედაგოგიურ საბჭოსთან, განხილვისას ხდება უკუკავშირის მოსმენა და გაზიარება. ეს პროცესი თავისთავად გულისხმობს სასკოლო საზოგადოების წევრების ჩართულობას სწავლა-სწავლების პროცესში. ასევე სკოლაში წახალისებულია მოსწავლეთა ინიციატივები და ინფორმაცია

ხელმისაწვდომია სკოლის ვებგვერდზე. სკოლას აქვს სოციალური ქსელის Facebook გვერდი, სადაც აზიარებს ინფორმაციას და შემდეგ კომენტარების სახით იღებს უკუკავშირსაც. **3.3.2.1. ინდიკატორი შეესაბამება.**

2. დაწესებულების მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა უზრუნველყოფილია ზოგადი განათლების შესახებ კანონის შესაბამისად, კერძოდ, საგნობრივი კათედრების შემადგენლობაშია ყველა მასწავლებელი, სამეურვეო საბჭოს შემადგენლობაშია მასწავლებელი, მშობელი და მოსწავლე, საბჭო განიხილავს ითანხმებს ან/და ამტკიცებს სკოლის საქმიანობის სხვადასხვა მარეგულირებელ დოკუმენტს. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელსაც აქვს შესაძლებლობა ჩართული იყოს სასკოლო ცხოვრებაში. მრჩეველთა საბჭო, რომელიც გამოკვეთს სკოლაში სასწავლო პროცესში გამოკვეთილ საჭიროებებს და იძლევა შესაბამის რჩევებს. **3.3.2.2. ინდიკატორი შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ თბილისის 147 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს, მრჩეველთა საბჭოს, მოსწავლეთა თვითმმართველობის, კათედრების სხდომების ოქმები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);
2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;
3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში შექმნილია თანამშრომლებისა და სკოლის ტერიტორიაზე მყოფი პირებისთვის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემო. სკოლაში არის 41/წბრძანების მოთხოვნებთან შესაბამისად აღჭურვილი სამედიცინო კაბინეტი. სკოლას ჰყავს ექიმი მისი კვალიფიკაცია შეესაბამება 41/წბრძანებით მოთხოვნილ გარდა ამისა, სკოლას შემუშავებული აქვს უსაფრთხოების დაცვის პოლიტიკა, განსაზღვრული ჰყავს პასუხისმგებელი პირები. სკოლას საშტატო განრიგით დამტკიცებული აქვს მეორე ექიმის შტატი. აღნიშნულის შესაბამისად სკოლას დამტკიცებული აქვს საშტატო განრიგი, გამოყოფილი აქვს შესაბამისი სივრცე და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთან მიწერილი აქვს წერილი სამედიცინო აღჭურვილობის მიწოდებაზე (მეორე სამედიცინო კაბინეტისთვის).

აღნიშნულმა სააგენტომ სკოლას სამედიცინო აღჭურვილობის მისაწოდებელი ვადა განსაზღვრა 3 თვედ. სკოლას ჰყავს ოთხი მანდატური, ვიდეო კამერები შიდა და გარე პერიმეტრის გასაკონტროლებლად (93 კამერა).

გარდა ამისა, სკოლას შემუშავებული აქვს უსაფრთხოების დაცვის პოლიტიკა, განსაზღვრული ჰყავს პასუხისმგებელი პირები. სკოლის შესასვლელში, სკოლის თანამშრომელი/დარაჯი აკონტროლებს სკოლის ვიზიტორებს, აკეთებს აღრიცხვას. მთავარ ფოიეს საინფორმაციო კუთხეში გამოკრულია ყველა სავალდებულო დოკუმენტი. სკოლას აქვს დამტკიცებული საგანგებო სიტუაციებში რეაგირების გეგმა, შტაბი, საევაკუაციო გეგმა, რომელიც დერეფნებშია გამოკრული.

2023-2024 სასწავლო წელი სკოლამ განაახლა ახლად რეაბილიტირებულ შენობაში, გამართული სახანძრო უსაფრთხოების სისტემით. სახანძრო უსაფრთხოების მონტაჟი განხორციელდა სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსა და შპს “სქაიჰაუს“- შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. 2024 წლის 27 მარტიდან სკოლას შეთანხმებული აქვს „საგანგებო მართვის გეგმა“ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან. სკოლას ასევე აქვს სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა შენობის მდგრადობასთან დაკავშირებით. დასკვნაში აღნიშნულია, რომ სკოლის შენობა (ძირითადი სასწავლო კორპუსის, სააქტო დარბაზი, დამხმარე კორპუსი და სპორტული დარბაზი) ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, თუმცა სეისმურ ნორმებთან შეუსაბამო, დაზიანებები ძირითადად გამოწვეულია ასაკობრივი ცვეთითა და ტექნიკური მოუვლელობით. ამ ეტაპზე შენობების ექსპლუატაცია შესაძლებელია, მაგრამ მათი შემდგომი ხანგრძლივი უსაფრთხო ექსპლუატაციისთვის საჭიროა დროული გაძლიერებითი სამუშაოების ჩატარება, სპეციალურად დამუშავებული პროექტის მიხედვით, კვლევით ნაწილში ხარვეზების აღმოფხვრისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით.

4.1.1. ინდიკატორი შეესაბამება;

2. სკოლის ექიმის ხელშეკრულებაში, ფუნქციებში, გაწერილი აქვს პირველადი დახმარების ვალდებულება. გარდა ამისა, სკოლას ჰყავს მანდატური, სპეციალური მასწავლებლები და ასისტენტი.

3.4.1.2. ინდიკატორი შეესაბამება;

3. სკოლა ხელმძღვანელობს „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანების შესაბამისად. სკოლის ტერიტორიაზე უსაფრთხოებას უზრუნველყოფს

სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული პირი, რომელიც სკოლის ტერიტორიაზე უცხო პირთა შესვლას აკონტროლებს, სკოლას ჰყავს მანდატური. სკოლაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ქცევის წესები (თამბაქოს მოხმარების აკრძალვა, გადაუდებელი დახმარების ნომრები და ა.შ.), რითაც რეგულირდება წესრიგის დაცვის მექანიზმები. სკოლაში მოქმედებს მრჩეველთა საბჭო, დისციპლინური კომიტეტი. **3.4.1.3. ინდიკატორი შეესაბამება;**

4. ექსპერტთა ჯგუფის ადგილზე ვიზიტის დროს სკოლას დახვდა პოზიტიური და კეთილგანწყობილი გარემო. გარდა ამისა დერეფნებსა და საკლასო ოთახებში გამოკრულია მოსწავლეთა ნამუშევრები, რაც მათ აღიარებას ნიშნავს. სკოლის ინფრასტრუქტურა (სამასწავლებლო, სამუშაო სივრცეების, საკლასო ოთახები) და სკოლაში დასაქმებული პირები, ერთობლივად ქმნიან ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს. სკოლის დერეფნებში გამოკრული მოსწავლეთა მიერ განხორციელებული სხვადასხვა ნამუშევარი, რაც ასევე პოზიტიურ და ფსიქოლოგიურად უსაფრთხო გარემოზე მიუთითებს. ამასთანავე სკოლაში, დამრიგებლებს შემუშავებული აქვთ სადამრიგებლო კლასის პროგრამა, სადამრიგებლო კლასის საათზე განიხილავენ სხვადასხვა თემას. სკოლა ახორციელებს რეფერირების პროცედურებს ბავშვზე ძალადობის/სავარაუდო ძალადობის შემთხვევაში, სადაც ჩართულია მანდატურის სამსახური და სოციალური მუშაკი. დერეფნებში გამოკრულია მანდატურის სამსახურის ფსიქო-სოციალური სამსახურის ცხელი ხაზის ნომერი, რომლითაც შეუძლია ისარგებლოს ნებისმიერ დაინტერესებულ პირს **3.4.1.4. ინდიკატორი შეესაბამება;**

5. სკოლას შემუშავებული აქვს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმი. სანიტარული ნორმების დაცვის თვალსაზრისით სკოლაში დასაქმებული არიან დამლაგებლები, ვიზუალური დათვალიერებით სკოლაში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა. სკოლის დირექტორს ბრძანებით განსაზღვრული ჰყავს სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირები. **3.4.1.5. ინდიკატორი შეესაბამება;**

6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემთა დაცვას „პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონისა და სხვა მოქმედი სპეციალური კანონმდებლობის შესაბამისად. სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის დოკუმენტი. დოკუმენტში დაზუსტებულია მონაცემთა დაცვის პრინციპები, მონაცემთა დამუშავების საფუძვლები, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავების საფუძვლები, მონაცემთა დაცვა მოსწავლეთა და

თანამშრომელთა პირადი საქმის წარმოებისას და ა.შ. სკოლას, დირექტორის ბრძანებით, განსაზღვრული ჰყავს პერსონალური მონაცემთა დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი და აღნიშნული პირი დარეგისტრირებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრების ბაზაში. **3.4.1.6. ინდიკატორი შეესაბამება;**

7. სკოლაში გამოყენებული ნებისმიერი პროგრამა ლიცენზირებულია. სკოლაში არსებულ ყველა კომპიუტერს/კომპიუტერულ მოწყობილობას გააჩნია ანტივირუსული პროგრამა/დამცავი ბარიერი. სკოლაში არსებული პერსონალური ინფორმაცია არ ზიარდება ვებგვერდებზე, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა. სკოლა ახდენს ინფორმაციისა და ფაილების სარეზერვო კოპირებას. სკოლა მუშაობის პროცესში იყენებს სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს. სკოლის საქმისმწარმოებელთან არის დაცული სკოლის თანამშრომლების და მოსწავლეების პირადი საქმეები, რომელიც შენახულია და ხელმისაწვდომია მხოლოდ უფლებამოსილი პირებისათვის. **3.4.1.7. ინდიკატორი შეესაბამება;**

8. სკოლა ხელმძღვანელობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით. სკოლის უსაფრთხოების დაცვის კონტროლის მიზნით, სკოლა სამომავლოდ გეგმავს სხვადასხვა კითხვარის შექმნას, რათა შეამოწმოს უსაფრთხოების მექანიზმის ეფექტიანობა. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზისა და სკოლის პირველადი ავტორიზაციის საფუძველზე, **3.4.1.8. ინდიკატორი შეესაბამება;**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ქ. თბილისის 147 საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 19 აპრილის ბრძანება „სკოლის საგანგებო მართვის გეგმის დამტკიცების შესახებ“
- სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულა-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის, სამოქალაქო უსაფრთხოების დეპარტამენტის წერილი **MIA 8 24 00921474** ქალაქ თბილისის №147 საჯარო სკოლის საგანგებო მართვის გეგმის შეთანხმების შესახებ
- სსიპ ქ. თბილისის 147 საჯარო სკოლის უსაფრთხოების დაცვის პოლიტიკის დოკუმენტი .
- სსიპ ქ. თბილისის 147 საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 5 ივნისის ბრძანება „სკოლის სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმების დამტკიცებისა და პასუხისმგებელი პირების განსაზღვრის შესახებ“
- სსიპ ქ. თბილისის 147 საჯარო სკოლის სანიტარულ -ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმი
- სსიპ ქ. თბილისის 147 საჯარო სკოლის დირექტორის 2021 წლის 12 თებერვლის ბრძანება „სკოლაში პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ“
- სსიპ ქ. თბილისის 147 საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 11 აპრილის ბრძანება „სკოლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ“

- სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს წერილი MES 1240000670025 სამედიცინო აღჭურვილობის შესახებ.
- შპს სქაიპაუსის“ მიერ განხორციელებული სამუშაოების ნუსხა, მიღება-ჩაბარების აქტი;
- სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტის დასკვნა N004937024.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა მდებარეობს თბილისში, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში, მისამართზე: ქალაქი თბილისი, მასივი დილომი, კვარტალი III. დაზუსტებული ფართობი 12210,00 კვ.მ. სარდაფის სართული 1407.8 კვ.მ I სართული 2358,31 კვ.მ, II სართული 1768.77 კვ.მ, III სართული 1478.09 კვ.მ და IV სართული 14.76.6 კვ.მ და ნაგებობა N8 (საქვაბე) ფართით 18.73. კვ.მ.

სკოლა განთავსებულია ოთხ სართულზე. თითოეულ სართულზე მდებარეობს საკლასო ოთახები (ჯამში 50 საკლასო ოთახი), ადაპტირებული სველი წერტილები: გოგოებისთვის, ბიჭებისთვის და მასწავლებლებისთვის; ადაპტირებული სველი წერტილები ბიჭებისათვის (საჭიროებიდან გამომდინარე).

სარდაფის სართულზე მდებარეობს სააქტო დარბაზი და სპორტული დარბაზი. პირველ სართულზე საკლასო ოთახები, ბიბლიოთეკა, დირექტორის ოთახი, მანდატურის ოთახი, ექიმის ოთახი და სხვადასხვა სივრცე, მეორე სართულზე საკლასო ოთახები და კომპიუტერული ლაბორატორია . მესამე სართულზე საკლასო ოთახები და საბუნებისმეტყველო ლაბორატორია. მეოთხე სართულზე საკლასო ოთახები.

მატერიალური რესურსის თვალსაზრისით, სკოლის საკუთრებაშია: 1732 მერხი და სკამი, 243 კომპიუტერი (88 პერსონალური, 155 პორტატული - ლეპტოპი) 34 პროექტორი, 5 პრინტერი- კომბაინი, სპორტული ინვენტარი (ჩოგნები, ბურთები, ფრენბურთის ბადე და ა.შ.). 3.5.1.1. ინდიკატორი შეესაბამება;

2. მოსწავლეებისთვის სკოლაში არსებობს რეკრეაციული სივრცეები (დერეფანი, ეზო, ორი სპორტული მოედანი: ფეხბურთისა და კალათბურთის, დარბაზი) სხვა მოსწავლეებთან ან მასწავლებლებთან კომუნიკაციისთვის. სკოლაში არსებობს სივრცე მოსწავლეთა პრაქტიკული აქტივობებისთვის, პირველ სართულზე სკოლას ერთ-ერთ სარეკრეაციო სივრცეში განთავსებული აქვს მაგიდის ჩოგბურთის მაგიდები და შესაბამისი ინვენტარი. დაწესებულების ინფრასტრუქტურა და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის. სკოლას შემუშავებული აქვს სკოლის მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი, რომელიც არეგულირებს რესურსების ხელმისაწვდომობას, სკოლის ბიბლიოთეკაში გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში - ლაბორატორიით სარგებლობის წესი. 3.5.1.2. ინდიკატორი შეესაბამება;

3 სკოლამ წარმოადგინა ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, ინვენტარიზაციის წიგნი. ბიბლიოთეკის საქმიანობა ეფუძნება ბიბლიოთეკის დებულებას. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი შედგება სახელმძღვანელოების, საბავშვო ლიტერატურის, დამხმარე სახელმძღვანელოების, სერია-ქართული მწერლობა, სერია-ქართული პროზა, ქართული ლიტერატურა, უცხოური ლიტერატურისაგან. ბიბლიოთეკარი სკოლის მოსწავლეებსა და მასწავლებელს ეხმარება სხვადასხვა ღონისძიების დაგეგმვაში.

3.5.1.3. ინდიკატორი შეესაბამება;

4. სკოლის შენობა ქმნის ინკლუზიურ გარემოს. შენობაში, ყველა სართულზე არის ადაპტირებული სველი წერტილი, არის ლიფტი და საჭიროების შემთხვევაში პანდუსები. შესაბამისად, სკოლის სივრცე ქმნის ინკლუზიურ გარემოს. **3.5.1.4.**

ინდიკატორი შეესაბამება;

5. სკოლის ინფრასტრუქტურა (სკოლის ეზო, დარბაზი, სპორტული მოედანი, სარეკრეაციო სივრცე), ქმნის შესაძლებლობას, მოსწავლეებმა სკოლის ბაზაზე განახორციელონ სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები ერთმანეთთან, სასკოლო საზოგადოებისა და თემის სხვა თანატოლ თუ ზრდასრულ წარმომადგენლებთან ერთად. **3.5.1.5.**

ინდიკატორი შეესაბამება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ქ. თბილისის 147 საჯარო სკოლის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- სსიპ ქ. თბილისის 147 საჯარო სკოლის საჯარო სკოლის ბიბლიოთეკარის დებულება;
- სსიპ ქ. თბილისის 147 საჯარო სკოლის ლაბორატორიებით სარგებლობის წესი;
- სსიპ ქ. თბილისის 147 საჯარო სკოლის ინვენტარიზაციის დოკუმენტები;
- სსიპ ქ. თბილისის 147 საჯარო სკოლის მატერიალური ქონების ფლობის დოკუმენტაცია;
- სსიპ ქ. თბილისის 147 საჯარო სკოლის შენობის აზომვითი ნახაზი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას სწორად აქვს განსაზღვრული სასწავლო პროცესში ინფორმაციული ტექნოლოგიების ადგილი, რაც ხელს უწყობს სწავლა-სწავლების პროცესის სრულფასოვან წარმართვას, კერძოდ: 1) მოსწავლეებისათვის სასწავლო პროცესის გახალისებას/გამრავალფეროვნებას; 2) მასწავლებლებსა და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრებს შორის გამარტივებულ კომუნიკაციას. ამის დასტურია, რომ სკოლა უზრუნველყოფილია ინტერნეტკავშირით, დამონტაჟებულია WI-FI მოწყობილობა. სკოლის წარმომადგენლების განმარტებით, WI-FI მოწყობილობა, მუშაობს ხარვეზით, რის შესახებაც სკოლამ მისწერა წერილი სსიპ საინფორმაციო მართვის სისტემას და სთხოვა აღნიშნული პრობლემის მოგვარება. აქედან გამომდინარე, სკოლა ძირითადად სარგებლობს კაბელური ინტერნეტით, რომელიც დამონტაჟებულია საკლასო ოთახებში. გარდა კომპიუტერული ლაბორატორიისა სკოლა, საერთო ჯამში ფლობს: 34 პროექტორს, 88 კომპიუტერს სასწავლო მიზნებისთვის, 155 ლეპტოპს.

ტექნოლოგიების ჩართვა სასწავლო აქტივობებში და შესაბამისად დაგეგმილი თუ განხორციელებული სასკოლო აქტივობები, ასევე სკოლის მასწავლებლებსა და სასკოლო საზოგადოებას შორის ელექტრონული მიმოწერა. **3.6.1.1. ინდიკატორი შეესაბამება.**

2. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის. აღნიშნულის რეგულირების მიზნით, სკოლას შემუშავებული აქვს „ლაბორატორიით სარგებლობის წესი“. ლაბორატორიით სარგებლობის წესი გამოკრულია ლაბორატორიაში, ხოლო სამუშაო განრიგი ლაბორატორიის კარზე. **3.6.1.2. ინდიკატორი შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სსიპ ქ. თბილისის 147 საჯარო სკოლის ლაბორატორიებით სარგებლობის წესი;

სსიპ ქ. თბილისის 147 საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 19 დეკემბრის წერილი MES 723001735308

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს საქმისწარმოების ერთიანი წესი. აღნიშნული დოკუმენტი საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას შეესაბამება. დოკუმენტის მიზანია მოაწესრიგოს დოკუმენტების ბრუნვა, აამაღლოს დოკუმენტების შედგენისა და გაფორმების ხარისხი და უზრუნველყოს დაწესებულების მუშაობის ეფექტიანობა.

3.6.2.1. ინდიკატორი შეესაბამება;

2. სკოლაში, როგორც შიდა, ისე გარე კომუნიკაციის მიზნებისთვის გამოიყენება დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა, eflow, Eschool-ის ბაზა და office 365. **3.6.2.2.ინდიკატორი შეესაბამება;**

3. ავტორიზაციის ექსპერტების მიერ გადამოწმდა და დადგინდა, რომ სკოლას ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (Eschool-ის ბაზა) პროფილი შევსებული აქვს სრულყოფილად - არა სრულყოფილად **.3.6.2.3. ინდიკატორი შეესაბამება;**

4. სკოლის მიერ გაგზავნილი კორესპონდენციის შემოწმების მიხედვით, დგინდება, რომ სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის შესახებ შესაბამის უწყებებს. **3.6.2.4.ინდიკატორი შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ქ. თბილისის 147 საჯარო სკოლის საქმის წარმოების ერთიანი წესი;
- სსიპ ქ. თბილისის 147 საჯარო სკოლის Eschool-ის ბაზა, დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა, eflow;

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და

მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს ვებ-გვერდი - skolebi.emis.ge - სსიპ თბილისის 147 საჯარო სკოლა და ასევე აქვს სოციალურ ქსელში Facebook გვერდი. **3.6.3.1. ინდიკატორი შეესაბამება;**
2. სკოლას დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული ჰყავს ვებგვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირი. ბრძანებაში განსაზღვრულია, რომ ინფორმაციის დროულ მიწოდებასა და უტყუარობაზე პასუხისმგებელია ინფორმაციის მიმწოდებელი, ხოლო მის დროულ განთავსებაზე ვებგვერდის ადმინისტრატორი. **3.6.3.2. ინდიკატორი შეესაბამება;**
3. სკოლას აქვს ოფიციალური Facebook გვერდი, რომლის საშუალებითაც, კომენტარების სახით იღებს უკუკავშირს. გარდა ამისა, სამომავლოდ, სკოლა გეგმავს, გამოიყენოს სხვა საშუალებებიც და საზოგადოებისგან მიღებული უკუკავშირი გაანალიზოს და გამოიყენოს საკუთარი საქმიანობის გასაუმჯობესებლად. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და სიტუაციის (სკოლის პირველადი ავტორიზაცია) ანალიზის შედეგად **3.6.3.3. ინდიკატორი შეესაბამება.**
4. სკოლის ვებ-გვერდსა და Facebook გვერდზე ინფორმაცია განთავსებულია ქართულ ენაზე. **3.6.3.4. ინდიკატორი შეესაბამება**
5. სკოლის ვებ-გვერდზე მოცემულია ინფორმაცია სკოლის მდებარეობის შესახებ, მოსწავლეთა რაოდენობა და ყველა ის ინფორმაცია, რომელსაც აღნიშნული ინდიკატორი ითვალისწინებს, გარდა სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგებისა და გასაჩივრების მექანიზმებისა. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზისა და სკოლის პირველადი ავტორიზაციის საფუძველზე, აღნიშნული **3.6.3.5. ინდიკატორი შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სსიპ ქ. თბილისის 147 საჯარო სკოლის ვებგვერდი - <https://skolebi.emis.ge/>

სსიპ ქ. თბილისის 147 საჯარო სკოლის სოციალურ ქსელში Facebook გვერდი

სსიპ ქ. თბილისის 147 საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 8 თებერვლის ბრძანება „სკოლის ვებ გვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ“.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა საკუთარი ფინანსური რესურსით უზრუნველყოფს წლის განმავლობაში, სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების შესრულებას (ერთწლიან სამოქმედო გეგმაში გაწერილი აქტივობები არ მოითხოვს ფინანსურ უზრუნველყოფას).

ბიუჯეტის დაგეგმვაში ჩართულები არიან სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლები. **3.7.1.1. ინდიკატორი შეესაბამება.**

2. სკოლის დირექტორის განმარტებით და წარმოდგენილი სამეურვეო საბჭოს ოქმების მიხედვით, სკოლის დირექტორი სამეურვეო საბჭოს წარუდგენს ფინანსური რესურსების განკარგვის და მონიტორინგის შედეგებს; სკოლის ბიუჯეტის დამტკიცება ხდება სამეურვეო საბჭოზე, ხოლო მისი გასული წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში ასევე წარედგინება სამეურვეო საბჭოს. აღნიშნულის გათვალისწინებით **3.7.1.2. ინდიკატორი შეესაბამება.**



დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ქ. თბილისის 147 საჯარო სკოლის დირექტორის ფინანსური ანგარიში;
- სსიპ ქ. თბილისის 147 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომების ოქმები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვას და გარანტიებს უზრუნველყოფს სკოლის შინაგანაწესი, რომელშიც გაწერილია მოსწავლეთა უფლებები და მოვალეობები, მასწავლებელთა და მოსწავლეთა ეთიკის კოდექსი, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის წესი და პირობები. სკოლას შემუშავებული და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს წარდგენილი განცხადების / საჩივრის განხილვის პროცედურა. **4.1.1.1. ინდიკატორი შეესაბამება.**

2. სასკოლო რეგულაციების გამჭვირვალობაზე მეტყველებს სკოლაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრული შინაგანაწესი. გარდა ამისა, სკოლას ვებ გვერდზე ატვირთული აქვს აღნიშნული მიმართულებით დოკუმენტაცია. მშობლებთან, მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია ხელშეკრულებები. ასევე, კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციების შესახებ ინფორმაციის გაზიარება ხდება საკლასო / მშობელთა კრებებზე. **4.1.1.2. ინდიკატორი შეესაბამება.**

3. სკოლასა და მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია ხელშეკრულება. ხელშეკრულებაში გაწერილია სკოლის ვალდებულებები, მშობლისა და მოსწავლის უფლება-მოვალეობები. **4.1.1.3. ინდიკატორი შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ქ. თბილისის 147 საჯარო სკოლის ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა;
- სსიპ ქ. თბილისის 147 საჯარო სკოლის დირექტორის 2020 წლის 7 სექტემბრის ბრძანება „სკოლის მოსწავლეთა მშობლის / კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირების წესის დამტკიცების შესახებ.“
- სსიპ ქალაქ თბილისის N147 საჯარო სკოლის სსსმ პირისთვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების მექანიზმი;
- სსიპ ქალაქ თბილისის N147 საჯარო სკოლასა და მშობლებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებები;
- სსიპ თბილისის 147 საჯარო სკოლის მიმართ წარდგენილი განცხადების / საჩივრის განხილვის პროცედურა

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები



1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შემუშავებული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, კლასიდან - კლასში გადაყვანის, სტატუსის შეჩერების, მობილობისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების საფუძველზე მოსწავლის ჩარიცხვის წესი. სკოლა იცავს მოსწავლეთა ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს, რაც დასტურდება ელექტრონული ბაზებითა და მოსწავლეთა პირადი საქმეებით. **4.1.2.1. ინდიკატორი შეესაბამება;**
2. სკოლა იცავს მოსწავლეთა ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს, რაც დასტურდება ელექტრონული ბაზებითა და მოსწავლეთა პირადი საქმეებით. **4.1.2.2. ინდიკატორი შეესაბამება;**
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურებების სახეები, პროგრამები, შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია მოცემულია სკოლის ვებ-გვერდზე. **4.1.2.3. ინდიკატორი შეესაბამება;**
4. სკოლას ჰყავს ინფორმაციის გავრცელებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელსაც ინფორმაციას აწვდიან, სკოლის საზოგადოების ოფიციალური პირები, დირექცია, კლასის დამრიგებლები, საგნის მასწავლებლები. შესაბამისად გავრცელებული ინფორმაცია არის კანონიერი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. **4.1.2.4. ინდიკატორი შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.



- სსიპ ქალაქ თბილისის N147 საჯარო სკოლის 2024 წლის 17 აპრილის ბრძანება „სკოლაში მოსწავლეთა მობილობის წესის დამტკიცების შესახებ“;
- სსიპ ქალაქ თბილისის N147 საჯარო სკოლის 2024 წლის 17 აპრილის ბრძანება „სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის დამტკიცების შესახებ“;
- სსიპ ქალაქ თბილისის N147 საჯარო სკოლის გამოცემული ბრძანებები მოსწავლის ჩარიცხვის შესახებ;
- სსიპ ქალაქ თბილისის N147 საჯარო სკოლის ელექტრონული ბაზები (Eflow-სა და Eschool-ის ბაზები);
- სსიპ ქალაქ თბილისის N147 საჯარო სკოლის ვებ-გვერდი;
- სსიპ ქალაქ თბილისის N147 საჯარო სკოლის მოსწავლეთა პირადი საქმეები;
- სსიპ ქალაქ თბილისის N147 საჯარო სკოლის ვებ გვერდი ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირი;
- სსიპ ქალაქ თბილისის N147 საჯარო სკოლის მშობელთა კრებების ოქმები;
- სსიპ ქ. თბილისის 147 საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 8 თებერვლის ბრძანება „სკოლის ვებ გვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ“.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშეწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;



4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა ადაპტაციის წესი, რომელიც დეტალურად აღწერს ადაპტაციის პრინციპებსა და მნიშვნელოვან ფაქტორებს. წარმატებული ადაპტაციის ნიშნებს. ადაპტაციის წესი მოიცავს პირველკლასელთა ადაპტაციას, სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლის ადაპტაციას. ამ წესის მიხედვით, მასწავლებლებს შემუშავებული აქვთ ტრანზიციის გეგმა. **4.2.1.1. ინდიკატორი შეესაბამება;**

2. სკოლას აქვს შესაბამისი ინფრასტრუქტურა, ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა, რესურს ოთახი, ასევე შემუშავებული აქვს მოსწავლის ტრანზიციის გეგმა. გასათვალისწინებელია, რომ სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, გამომდინარე აქედან, ვიზუალური დათვალიერებითა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზით, **4.2.1.2. ინდიკატორი შეესაბამება;**

3. სკოლა მოსწავლეს/ მშობელს / კანონიერ მეურვეს რეგულარულად, ინდივიდუალურად აწვდის მოსწავლის შესახებ განმავითარებელ შეფასებას. მასწავლებლის მიერ გამოყენებული განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება ხელმისაწვდომია, როგორც მოსწავლისთვის ასევე მისი მშობლისათვის / კანონიერი მეურვისათვის, ელექტრონული ჟურნალის საშუალებით. სკოლის მხრივ უკუკავშირი გაიცემა წერილობით, ნაბეჭდი სახითაც. გარდა ამისა, აღნიშნული მიმართულებით, საჭიროების შემთხვევაში, საგნის მასწავლებლები სხვადასხვა საკონსულტაციო შეხვედრას მართავენ მოსწავლეებთან. **4.2.1.3. ინდიკატორი შეესაბამება;**

ინდიკატორი შეესაბამება;

4. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში განსაზღვრულია მოსწავლისთვის ადმინისტრაციული მხარდაჭერის მექანიზმები. გარდა ამისა, დამრიგებელი წლის დასაწყისში ყველა მოსწავლესა და მშობელს აცნობს სასკოლო დოკუმენტაციას,

კანონმდებლობას და შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას. **4.2.1.4. ინდიკატორი შეესაბამება;**

5. სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს სხვადასხვა კლუბს, საგანმანათლებლო პროექტს, ასევე სასკოლო კულტურის ხელშეწყობის მიზნით, ხშირად საშუალო საფეხურის მოსწავლეები თანამშრომლობენ საბაზო და დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებთან და ახოციელებენ სხვადასხვა პროექტს. სკოლას აქვს ტრადიცია, პირველკლასელებს პირველ დღეს სკოლაში მეგზურად დაახვედროს მეთორმეტე კლასელი. **4.2.1.5. ინდიკატორი შეესაბამება;**

6. სკოლაში სხვადასხვა სახის კითხვარი და პერმანენტულად ატარებს ანონიმურ გამოკითხვებს. რომლის საშუალებითაც იგებს მოსწავლის საჭიროებებს და შემდეგ მიღებული ინფორმაციის საფუძველზე აკეთებს ანალიზს და აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზისა და სკოლის პირველადი ავტორიზაციის საფუძველზე **4.2.1.6. ინდიკატორი შეესაბამება;**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ქ. თბილისის 147 საჯარო სკოლის მოსწავლეთა ადაპტაციის წესი
- სსიპ ქ. თბილისის 147 საჯარო სკოლის საჯარო სკოლის ელექტრონული ჟურნალი;

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში სასწავლო და მიმდინარე პროცესებთან არსებულ სიახლეებს მოსწავლეებს აცნობს კლასის დამრიგებელი, ამასთან დაკავშირებით ეწყობა შეხვედრები სხვადასხვა სასწავლო დაწესებულებების წარმომადგენლებთან, შეხვედრის ფარგლებში მოსწავლეები ეცნობიან სიახლეებს. **4.2.2.1. ინდიკატორი შეესაბამება;**

